პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 22 (384) პარასკევი, 2 დეკემბერი, 1949 წ. ფასი 30 კაპ.

მოდის სპორტული ზამთარი

ვისაც ერთხელ მაინც ქარივით ჩაუქროლია დათოვლილ ფერდობებზე თხილამურებით, მას არასოდეს არ დაავიწყდება ის აუწერელი სიამოვნება, რომელიც ამ ქროლვისას განიცადა... ვინც ტრამპლინიდან ფრინველივით შესრიალებულა ცაში და მოხდენილად, მართლაც-და არწივივით შეუკრავს ლაჟვარდში კამარა, იგი ვერ დაივიწყებს იმ ვაჟკაცური სიამაყის გრძნობას, იმ ჭაბუკურ აღტაცებას, რომელიც ადამიანს ეუფლება ამ წუთებში...

ამბობენ, საქართველოში ზამთარი არ იცისო. არაა ეს სწორი. ჩვენს მზიურ რესპუბლიკას ჭეშმარიტად გაზაფხულის იერი დაჰკრავს მუდამ, მაგრამ საკმარისია ბაკურიანი გავიხსენოთ, რომ სასიამოვნო ცხოველმყოფელმა გრძნობამ შეგვიპყროს, გულმა იქითკენ გაგვიწიოს.

მოდის სპორტული ზამთარი!

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მას ღირსეული შეხვედრა უნდა მოუწყონ. ბევრგან უკვე გაჩაღებული მზადებაა მის დასახვედრად. წლევანდელი ზამთარი მეტად საინტერესო და მომხიბვლელი შეჯიბრებებით იქნება აღსავსე. როგორც წინა წლებში, ბაკურიანს — საბჭოთა კავშირის ამ საუკეთესო მაღალმთიან სათხილამურო კურორტსა და ბაზას — ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ესტუმრებიან. კოჯორში გაიხსნება და იმუშავებს საქართველოს პროფკავშირთა სათხილამურო სადგური, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყობა საციგურო მოედანი... სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური პირველობა, საქართველოს ჩემპიონატი, სათხილამურო გადასვლები და გადარბენები... ვინ მოსთვლის რამდენი წარმტაცი შეჯიბრებით დაისერება კოხტაგორისა და სვანეთის მთების ფერდობები... ონისა და ამბროლაურის, ქედისა და ახალციხის, ჯავისა და ტებერდის, ბორჯომისა და ყაზბეგის ფიზკულტურელები დაძაბულ ბრძოლებში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

მაგრამ მხოლოდ სპორტის საზამთრო სახეებით როდი ამოიწურება სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ზამთარში. ფეხბურთელებს, მძლეოსნებს, მოცურავეებს, ველოსიპედისტებს და სპორტის სხვა სახეების წარმომადგენლებს ყოველდღიური ინტენსიური ვარჯიშის ჩატარება მართებთ, რადგან ზამთრის პერიოდში სერიოზული მეცადინეობა მომავალ სეზონში გამარჯვებათა მოპოვების პირველი საწინდარია. აი რატომ აქვს ამჟამად დახურული სასპორტო ბაზების კეთილმოწყობას უდიდესი მნიშვნელობა. ამავე დროს ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები სპორტსმენისათვის მეტისმეტად ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან. ფიზკულტურელებმა ზამთრის პერიოდში მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მზიანი დღეები და მცირეოდენი შესაძლებლობისთანავე ღია ცის ქვეშ ჩაატარონ ვარჯიში.

ხშირად ხდება ასე: ბაკურიანში სათხილამურო სეზონია გაჩაღებული, ხოლო თბილისში ამ დროს ველოსიპედისტები ან ფეხბურთელები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ბათუმში ან სოხუმში კი — წყალჯომარდობის ოსტატებს მონატრებიათ ზღვა და მის ტალღებში შეუცურავთ...

ახლა, როდესაც ზამთრის სპორტული სეზონი სადაცაა კარზე მოგვადგება, ფიზკულტურულ კოლექტივებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში დიდი საორგანიზაციო მუშაობაა გაშლილი: სათხილამურო ინვენტარის წესრიგში მოყვანა, მეთხილამურეთა საწვრთნელი შეკრებების ჩატარება, სპორტულ ღონისძიებათა საზამთრო კალენდარის შემუშავება, ფიზკულტურული დარბაზების კეთილმოწყობა, ზამთრის პერიოდში სამუშაო გეგმის შედგენა და სხვ.

ჩვენი გაზეთის მიერ ჩატარებულმა რეიდმა ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული საზოგადოებების ზამთრისათვის მზადების შესახებ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აღმოაჩინა. საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჯერ არც კი დაუწყიათ ზამთრისათვის სამზადისი. თბილისის მთელ რიგ ორგანიზაციებში (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა, საშუალო სკოლების დიდი ნაწილი და სხვ.) ეს საყურადღებო საკითხი ბედის ანაბარადაა მიტოვებული.

სპორტული ზამთარი მოულოდნელად მოგვადგება კარზე. საჭიროა ენერგიული მუშაობა, რათა მას ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ.

ზამთრის სპორტული სეზონისათვის მზადება უნდა ჩატარდეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის დადგენილების შესრულებისათვის შემდგომი ენერგიული ბრძოლის ნიშნით. ამ ისტორიული დადგენილების წლისთავი, რაც დეკემბრის დამლევს სრულდება, ჩვენმა სპორტსმენებმა ახალ-ახალი წარმატებებით უნდა აღნიშნონ!

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მეგობრობის მატჩი

ვარშავაში შედგა პოლონეთისა და ალბანეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელსაც 30.000 მაყურებელი დაესწრო. შეხვედრა უაღრესად მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე პოლონეთის გუნდის ცენტრალურმა თავდამსხმელმა კოხუტამ მეორე, გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ალბანელთა კარში და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1.

ალბანეთის თასი კალათბურთში

ალბანეთის ქალაქ შკოდრეში ჩატარდა თასის გათამაშება კალათბურთში. გაიმარჯვეს ტირანას ქალთა და მამაკაცთა გუნდებმა.

ახალი რეკორდი

ჩეხოსლოვაკელმა მძლეოსნებმა მიმდინარე სპორტულ სეზონში მაღალ შედეგებს მიაღწიეს. ამას წინათ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა ნიჭიერმა სპორტსმენმა ვაცლავ ვინტერმა. მან 1.000 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 28,0 წამში.

მესამე სეზონში ზედიზედ

ალბანეთის ჩემპიონის ტიტული ფეხბურთში წელს კვლავ (მესამეჯერ ზედიზედ) სახალხო არმიის გუნდმა „პარტიზანმა“ მოიპოვა. არმიელმა ფეხბურთელებმა წაუგებლად ჩაატარეს ტურნირი და 32 შესაძლებელი ქულიდან 30 მოაგროვეს. ბურთების შეფარდება—65:9.

დემოკრატიულ ალბანეთში წელს პირველად გათამაშდა თასი ჭაბუკთა გუნდებს შორის. გამარჯვება ქალაქ კორჩას წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

ადგილობრივი სპორტული პრესა აღნიშნავს, რომ ფეხბურთის კლასის ამაღლებას ალბანეთში დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა მწვრთნელის ბ. აპუხტინის მუშაობამ.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი

15 წელი ს. მ. კიროვის ვერაგული მკვლელობიდან

15 წლის წინათ, 1934 წლის პირველ დეკემბერს ხალხის უბოროტესმა მტრებმა, იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტებმა ტროცკისტ-ბუხარინელმა ბანდიტებმა ვერაგულად მოჰკლეს დიდი რევოლუციონერი, ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი და მოწაფე, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე სერგეი მირონის-ძე კიროვი.

ს. მ. კიროვი დაიბადა 1886 წელს ვიატკის გუბერნიის ქ. ურჟუმში, ღარიბი მუშის ოჯახში. ქ. ურჟუმის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა ყაზანის მექანიკურ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1904 წელს. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში იზრდებოდა და თანდათანობით ფართო ხასიათს ღებულობდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა.

კიროვი სავსებით ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1904 წელს იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და როგორც ტომსკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი უდიდეს პარტიულ მუშაობას ეწევა. უშიშარ რევოლუციონერს რამდენჯერმე აპატიმრებს მეფის მთავრობა.

1909 წლის გაზაფხულიდან კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაშია. აქ იგი წლების მანძილზე ფართო პარტიულ-პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ატარებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ კიროვს ჩრდილოეთ კავკასიაში მოუსწრო. დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს ს. მ. კიროვი პეტერბურგში იმყოფებოდა.

სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებში კიროვი ფრონტის მოწინავე უბნებზეა. ლენინმა და სტალინმა 1919 წელს მას დაავალეს ვოლგის ციხე-სიმაგრის ქ. ასტრახანის დაცვა და მტრის განადგურება. კიროვმა, როგორც მე-11 არმიის ხელმძღვანელმა, შესანიშნავად მოაწყო ქ. ასტრახანის დაცვა და იგი მტრისაგან მიუვალი გახადა.

* * *

კიროვს, როგორც ბოლშევიკი ორგანიზატორის, შემოქმედებითი ნიჭი კიდევ უფრო გაიფურჩქნა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში.

1921 წელს კიროვი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად, სადაც მუშაობდა 1925 წლის დეკემბრამდე. დიდია მისი ღვაწლი აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში. სერგო ორჯონიკიძესთან ერთად კიროვმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

როცა ბოლშევიკური პარტია გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებდა ტროცკისტ-ზინოვიეველთა წინააღმდეგ, დიდმა სტალინმა თავისი ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი გაგზავნა უაღრესად პასუხსაგებ უბანზე. კიროვი 1926 წელს სათავეში ჩაუდგა ქ. ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც იგი 9 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მისი მეთაურობით ლენინგრადის ბოლშევიკებმა გაანადგურეს საზიზღარი გამცემლები, ტროცკისტ-ზინოვიეველთა ხროვა და ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია გადააქციეს პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევ და საიმედო დასაყრდენად, მჭიდროდ დარაზმეს იგი ამხანაგი სტალინის გარშემო.

კიროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩვენი სამშობლოს და კერძოდ ლენინგრადის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მთელი სიცხადით გამოჩნდა ის დიდი ღვაწლი, რაც მან დასდო ჩვენს ქვეყანას ამ საქმეში — ლენინგრადი მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა, მის მისადგომებთან სამარე ჰპოვეს ჰიტლერის რჩეულმა დივიზიებმა.

კიროვი იყო ლენინურ-სტალინური წრთობის პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწე. პარტიის XI ყრილობიდან სერგეი მირონის-ძე კიროვი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, 1930 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. 1934 წლის იანვრიდან კიროვი მუშაობდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნად.

* * *

კიროვს უსაზღვროდ უყვარდა ჩვენი ახალგაზრდობა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა მომავალი თაობის ყოფა-ცხოვრების, ზოგადი და პოლიტიკური განათლების, მისი ფიზიკური აღზრდის საკითხებს. ამხანაგი კიროვი დაჟინებით მოითხოვდა ახალგაზრდობისაგან მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების დაუფლებას, იდეურად და ფიზიკურად გამოწრთობას. თვით კიროვის — მგზნებარე ტრიბუნის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

დიდი სახელმწიფო მოღვაწე ამავე დროს ფიზკულტურისა და სპორტის საქმის დიდი მოყვარული იყო, კიროვი გატაცებული იყო ალპინიზმით. მას დიდად უყვარდა ბუნება, უყვარდა კავკასიის ამაყი მთები. იგი, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა და მუშაობდა, გატაცებით დადიოდა მთებში, ადიოდა თოვლიან მწვერვალებზე. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის ალპინისტთა ექსპედიციაში, რომელიც 1910-11 წლებში ავიდა კავკასიის უმაღლეს მწვერვალებზე — მყინვარსა და იალბუზზე. გადმოგვცემს რა მყინვარზე ასვლით მიღებულ შთაბეჭდილებას, კიროვი წერილში „მყინვარზე ასვლა“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „თერგში“, სწერს: „... და რაც უფრო უმზერ ამ სტიქიონს, მით უფრო ცხადად გაგონებს იგი აბობოქრებულ ზღვას. ზვიადი მყინვარი კი დინჯად ზეაღმართულა და იდუმლად სდგას თავის თეთრ ქათქათა სამოსელში. ოდესღაც მასაც უყვარდა ქარიშხალი და მის წიაღშიც ბობოქრობდა სტიქიონი, ნელა, გაბმით მივალთ ჩვენ ფირნის ველზე, ფეხები ღრმად გვეფლობა რბილ თოვლში... მცირედი შესვენების შემდეგ ვიწყებთ ასვლას წვეროზე. ირგვლივ სიწყნარეა. აქ მას არვინ არღვევს... რა ღრმად მოქმედობს ადამიანის სულსა და გულზე ეს ყოველივე! მას ეუფლება აღფრთოვანების ისეთი გრძნობა, რომლის აღწერაც აღემატება ადამიანის ძალას“.

კიროვს ძალიან უყვარდა ნადირობაც. დასვენების დღეებს ჩვეულებრივ ნადირობაში ატარებდა. მრავალ ათეულ კილომეტრს გაივლიდა ფეხით ტყეებსა და ჭაობიან ადგილებში.

ლენინ-სტალინის ტიპის სახელმწიფო მოღვაწე, მასების დაუღალავი ორგანიზატორი მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი სერგეი მირონის-ძე კიროვი, რომელმაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, უკვდავია საბჭოთა ხალხის ხსოვნაში, მის საგმირო საქმეებში.

სერგეი მირონის-ძე კიროვის შესანიშნავი სახე თაობიდან თაობას, საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა, როგორც სახელოვანი საქმეების შთამაგონებელი სიმბოლო, გმირობისა და მამაცობის მარად მანათობელი ლამპარი.

მ. ჯინჭველაშვილი

საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო რეკორდები

26 ნოემბერს სსრ კავშირის ვ. ჩკალოვის ცენტრალურმა კლუბმა მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ საერთაშორისო რეკორდის სახით დაამტკიცა საბჭოთა მფრინავი ქალის ანა ბოდრიაგინას რეკორდი და ავიამოდელისტთა მთელი რიგი მიღწევები.

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს სასპორტო თვითმფრინავზე „იაკ-18“ საბჭოთა ავიასპორტსმენმა ანა ბოდრიაგინამ 100-მეტრიან უბანზე საათში 262,771 კილომეტრი საშუალო სისწრაფე განავითარა.

ვ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მოდელისტის ვასილ ნასონოვის თვითმფრინავის ფუზელაჟიანმა მოდელმა კაუჩუკის მოტორით ჰაერში დაჰყო 1 საათი და 16 წუთი. თვითმფრინავის ფუზელაჟიანმა მოდელმა მექანიკური ძრავით, რომელიც გაკეთებულია მოსკოველი ავიამოდელისტის ოლეგ გაევსკის მიერ, მიაღწია 116,687 კილომეტრ სისწრაფეს საათში.

ჰოკეის ოსტატები გამოდიან ყინულზე

ზეგ მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ტალინის, ჩელიაბინსკისა და სვერდლოვსკის სტადიონების ყინულის მოედნებზე აღიმართება შაიბიანი ჰოკეის 1950 წლის საკავშირო შეჯიბრების ალამი. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო სახელის მოპოვებისათვის ერთმანეთს შეეცილება 12 გუნდი: მოსკოვიდან — ცდკა, ვვს, „დინამო“, „სპარტაკი“, „კრილია სოვეტოვი“ და „ლოკომოტივი“; ლენინგრადიდან — „დინამო“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის კოლექტივი, რიგის „დაუგავა“, ტალინის „დინამო“, ჩელიაბინსკის „ძერჟინეცი“ და სვერდლოვსკის „დინამო“.

ტურნირი ჩატარდება ორ წრედ (გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარი და მოწინააღმდეგის მინდვრებზე) და დამთავრდება მომავალი წლის მარტის პირველ რიცხვებში.

საკავშირო ჩემპიონატი რუსულ ჰოკეიში წელს შეცვლილი სისტემით გათამაშდება. სხვა სეზონებიდან განსხვავებით 1950 წლის შეჯიბრება მეტად მასობრივი იქნება. მასში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ფედერაციის (4 გუნდი), უკრაინის (2 გუნდი), ბელორუსიის, ყაზახეთის, ლატვიის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის, მოსკოვის (2 გუნდი), ლენინგრადის (2 გუნდი) და სხვა ტურნირებში გამარჯვებული კოლექტივები, რომელთა საფინალო შეხვედრები 4 თებერვალს დაიწყება ლენინგრადში.

ასევე მასობრივი იქნება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება რუსულ ჰოკეიში.

მოტოციკლისტის მიღწევა

მოსკოვში ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარა მოტოციკლისტმა ი. პტაშკინმა („ტორპედო“) მცირელიტრაჟიანი მანქანით „მ1-ა“ მან 1 კილომეტრი სვლით დაჰფარა 29,96 წამში (საშუალოდ საათში განავითარა 120,160 კილომეტრი სიჩქარე), ხოლო 1 კილომეტრი ადგილიდან 38,89 წამში.

მსოფლიოს ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში

მსოფლიოს ხალხებს არ სურთ ომი. ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა. აურაცხელია ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ მებრძოლი დემოკრატიული ბანაკის ძალები. ამ ბანაკის სათავეშია დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც დგას მშვიდობის მხარეზე და იცავს მშვიდობის საქმეს.

მსოფლიოს ახალგაზრდობა დგას დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის, აგრესიის ყოველგვარი გამოვლინებისა და ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ, ხალხებს შორის მეგობრობისათვის.

მიმდინარე წლის სექტემბერში ბუდაპეშტში შემდგარი ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ისტორიაში შევიდა, როგორც დემოკრატიული ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაციის უდიდესი გამოძახილი. კონგრესი ჩატარდა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ლოზუნგით: „ახალგაზრდობავ, გაერთიანდი! წინ, მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ნაციონალური დამოუკიდებლობისა და უკეთესი მომავლისათვის!“.

ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობას მიეძღვნა ახალი დოკუმენტური ფილმი.

უნგრეთის პარლამენტის შენობის ოქროსფერ თაღებქვეშ მშვიდობის ახალგაზრდა დამცველებმა, რომლებიც შეიკრიბნენ თავის მეორე მსოფლიო კონგრესზე, ერთხელ კიდევ აღიმაღლეს ხმა მშვიდობის დასაცავად. ყველა ქვეყნის ალმებმა დაამშვენეს უნგრეთის დედაქალაქი. ახალგაზრდობის წარგზავნილები ჩავიდნენ ბუდაპეშტში დედამიწის ყველა კუთხიდან. კანის ყველა ფერის, ყველა ენასა და კილოზე მოლაპარაკე ჭაბუკები და ქალიშვილები შეიკრიბნენ აქ, რათა მსოფლიოსათვის თავიანთი სიტყვა ეთქვათ.

აი გამოჩნდა ინდოეთის დელეგაცია, აი ბერძენი პატრიოტები...

აი, მოდის საბჭოთა დელეგაცია. საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები მთელი დედამიწის ახალგაზრდობის სიამაყე, მისი მოწინავე რაზმი. დელეგატებს შორის არიან ალექსი მარესიევი, ივანე კოჟედუბი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ზოდელავა და სხვები.

... ჭაბუკები და ქალიშვილები გრამოსის მწვერვალიდან, მონღოლეთის ველებიდან, ნიგერიიდან და ევროპის ქალაქებიდან... ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობას განადგურებით ემუქრებიან ახალი ომის გამჩაღებლები. კაცობრიობის მტრები ისწრაფვიან დაქსაქსონ პროგრესული ახალგაზრდობის ძალები, მაგრამ აი იგი მოდის, მტკიცე მეგობრობით შეკავშირებული, მომავლისადმი ურყევი რწმენით.

ბუდაპეშტში შეიკრიბა ხუთი კონტინენტის ახალგაზრდობა, კაცობრიობის რჩეული ნაწილი, ხალხთა იმედი და მომავალი. კონგრესის დარბაზში 637 დელეგატია,—71 ქვეყნის წარმომადგენელი.

კადრში ნაჩვენებია კონგრესის პრეზიდიუმი. უკანა კედელზე მოჩანს ალმებით მორთული დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ემბლემა.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე გი-დე ბუასონი ხსნის კონგრესს. თავის მოხსენებაში ბუასონმა აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ფედერაცია ორჯერ გაიზარდა და ახლა იგი აერთიანებს დედამიწის 60 მილიონ ახალგაზრდას.

— ჩვენმა ფედერაციამ,—სთქვა ბუასონმა,—გადაჭრით უნდა წარმართოს ახალგაზრდობა დემოკრატიის გზით, ე. ი. იმ ერთადერთი გზით, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ ბედნიერება... არ არსებობს გამარჯვება ბრძოლის გარეშე და ახალგაზრდობას უნდა ბრძოლა იმიტომ, რომ მას სურს გამარჯვება!... ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ მშვიდობის ფრონტის გამარჯვებაში, რომლის სათავეში დგანან საბჭოთა კავშირი და დიდი სტალინი.

კონგრესის ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან დელეგატები. გაისმის მსოფლიოს მოწინავე ახალგაზრდობის ხმა.

— იზრდებიან და მტკიცდებიან ახალი დემოკრატიის ქვეყნები,—ამაყად ლაპარაკობს ევროპის ახალგაზრდობა.

— აზიამ გაიღვიძა საუკუნებრივი ძილისაგან,—სთქვა ჩინეთის დელეგატმა.

— აფრიკა ფეხზე დგება და ანცვიფრებს მთელ მსოფლიოს!—განაცხადა ზანგი ახალგაზრდობის წარმოგზავნილმა.

— სოციალიზმის შუქურა ოკეანეს იქით გვანათებს!—ასე ლაპარაკობდნენ ავსტრალიისა და ამერიკის წარმომადგენლები.

ტრიბუნაზეა საბჭოთა ახალგაზრდობის ხელმძღვანელი ამხ. ნ. მიხაილოვი.

— ფედერაციის მუშაობის ოთხი წელი,—სთქვა ამხ. მიხაილოვმა,—ეს დემოკრატიული ძალების ზრდის, დემოკრატიული ახალგაზრდობის რიგების შემჭიდროების წლებია, მთელ ქვეყანაში პროგრესული ახალგაზრდობის მოძრაობის აღმავლობის წლები.

— საბჭოთა დელეგაცია,—თქვა დასასრულ ამხ. მიხაილოვმა,—არწმუნებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის კონგრესს, რომ ლენინისა და სტალინის აღზრდილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა ყველა ძალას მოახმარს ახალგაზრდობის დემოკრატიული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეს, აქტიურად ითანამშრომლებს ფედერაციასთან და ყოველნაირად მხარს დაუჭერს ყველა მის წამოწყებას, რომლებიც მიმართული იქნება მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა ნაციონალური დამოუკიდებლობისა და ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ახალგაზრდობას!

წინ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის საბრძოლველად მთელს მსოფლიოში!

ახალგაზრდობის მეგობრობისა და ერთიანობის ნიშნად საბჭოთა დელეგაციამ მსოფლიო ფედერაციას გადასცა დროშა ლენინურ-სტალინური კომკავშირის ემბლემით.

ამას დარბაზში ყველა ოვაციით ეგებება და ბევრჯერ, ბევრჯერ მქუხარე ტაშის ქვეშ მეორდება დიდი სტალინის სახელი, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი კაცობრიობის იმედები მტკიცე მშვიდობისა და უკეთესი მომავლისათვის:

— სტალინ, სტალინ, სტალინ...

მილიონობით ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახელით კონგრესმა გადაჭრით განაცხადა რომ დემოკრატიულ ახალგაზრდობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მთელ მსოფლიოში ურყევი მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის, აგრესიის ყოველგვარი გამოვლინებისა და ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ.

ღამით ჩატარდა კონგრესის დელეგატთა საზეიმო სვლა, რომელიც მძლავრ დემონსტრაციად იქცა.

კონგრესის დელეგატებს მოაქვთ ამხანაგ სტალინის პორტრეტი.

სულ უფრო ხმამაღლა გაისმის დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ჰიმნის მძლავრი მელოდია, სულ უფრო ძლიერად ჟღერს სიტყვები, რომლებიც მოუწოდებენ მსოფლიოს ახალგაზრდობას მშვიდობისათვის საბრძოლველად.

ლ. მდივანი

„ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი“. რეჟისორი ბენჟერი, ოპერატორი ქსენოფონტოვი, დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები. 1949 წელი.

სპორტული ფოტოეტიუდები

„წინ, ახალი რეკორდებისაკენ!“ — ამ დევიზით გამოდიან სტადიონზე ნინო დუმბაძე (მარცხნივ, ზევით), ხეინო ლიპი (მარჯვნივ, ზევით), ელენე გოკიელი და მერი ქოჩლაძე.

ფოტო ი. ალიხანოვისა და ა. ტარასევიჩისა

მოედნები კოლმეურნეობებში

ბათუმი. საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიონული კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში მიიღო დადგენილება საკოლმეურნეო ფიზკულტურული მოედნების მოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენის შესახებ.

სოფელ კახაბრის მოლოტოვის და სოფელ მეჯინისწყლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობების გამგეობებმა გამოჰყვეს მიწის ნაკვეთები, სადაც კოლმეურნე ახალგაზრდები უკვე შეუდგნენ მოედნების მოწყობას.

◆

შეჯიბრება კალათბურთში

ჭიათურა. ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში ქალაქის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ექვსი გუნდი. ჩემპიონის წოდება მოიპოვეს „ბოლშევიკის“ წარმომადგენლებმა.

სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასზე

27 ნოემბერს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს და ფოთის „დინამოს“ გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ტრამვაელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს—1 : 0.

ქუთაისის „ტორპედომ“ თავის მოედანზე მიიღო თბილისის სპორტსაზოგადოება „ბოლშევიკის“ გუნდი. თამაში აქაც მწვავე ხასიათს ატარებდა. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბათუმის გუნდების—„დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 1 : 0 დინამოელთა სასარგებლოდ.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელებმა დაამარცხეს ხაშურის „ლოკომოტივი“ — 4 : 0.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ქუთაისის „ტორპედოს“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები.

მატჩი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელთა შორის ჩატარდა პირველ დეკემბერს თბილისში და დამთავრდა ტრამვაელთა გამარჯვებით — 3 : 2.

ქუთაისის „ტორპედო“ თავის მოედანზე დღეს შეხვდება ბათუმის „დინამოს“.

საფინალო შეხვედრა ჩატარდება 5 დეკემბერს ქ. თბილისში.

მეტი დახმარება ძირეულ კოლექტივებს

ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ შევიდა ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებაში. ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სპორტის განვითარებისადმი, ხელს უწყობენ ხალხური სპორტის გავრცელებას მოსახლეობის ფართო ფენებში. მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ აღმავლობას ჩვენს ქვეყანაში ახალი ბიძგი მისცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის ისტორიულმა დადგენილებამ.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე და საქართველოს კომკავშირის XVII ყრილობაზე რესპუბლიკის პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაუსახა საბრძოლო ამოცანები რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები, ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის გასაშლელად. წელს საგრძნობლად გაიზარდა სპორტის ოსტატთა, თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა რიცხვი. აშენდა კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის ბევრი ახალი მოედანი და სხვა სპორტული ნაგებობა. იზრდება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი, ბევრი საწარმოს (ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა და სხვ.) ძირეულმა კოლექტივმა საკუთარი ძალებით მოაწყო საუკეთესო სპორტული ბაზები. ფიზკულტურულ კოლექტივებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სპორტულ-ტექნიკური და სასწავლო-მეთოდური მუშაობა. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები, მოჭიდავენი, მოკრივენი, ფეხბურთელები, მოფარიკავენი და ტანმოვარჯიშენი საუკეთესონი არიან საბჭოთა კავშირში.

მიუხედავად ამ მიღწევებისა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სამწუხაროდ გვხვდებიან ისეთი ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც მოუქნელი მუშაობით ჩრდილს აყენებენ მოწინავეთა მიღწევებს.

მთლიანად ჩაშლილია მასობრივ - ფიზკულტურული მუშაობა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ თითქმის ყველა ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. ამ საზოგადოების ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა (თავმჯდომარე ამხ. გ. ხაბალაშვილი) ვერ გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ამოცანებს, ჩამოშორდა ძირეულ კოლექტივებს, იგი არ აწარმოებს კონტროლს და არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს მათ ადგილებზე. საზოგადოებაში ცუდად არის დაყენებული წევრთა ახალი ნაკადის მიზიდვისა და საწევრო ანარიცხების შეგროვების საქმე. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მომუშავეთაგან „ლოკომოტივის“ წევრად ითვლება მხოლოდ 25 კაცი, აქ საზოგადოების ძირეული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია სამმართველოს არქივის მუშაკი ამხ. ხარებავა, რომელიც თვითონ არ არის „ლოკომოტივის“ წევრი.

ანალოგიური სურათია თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. 1.428 სტუდენტიდან სპორტული საზოგადოების წევრია 260 კაცი. „ლოკომოტივის“ რაიონული საბჭო სრულ უმოქმედობას იჩენს, ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული და სექციური მუშაობა, საწევრო ანარიცხებს არ ჰკრეფენ და სპორტული მუშაობა მხოლოდ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას აწევს ზურგზე.

უარესი მდგომარეობაა „ლოკომოტივის“ თბილისის რაისაბჭოში შემავალ ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში (მინის ქარხანა, ელექტრომექანიკური ქარხანა, ბორჯომისა და გურჯაანის რკინიგზის კვანძები და სხვ.). აქ საერთოდ, არავინ არ ფიქრობს ფიზკულტურული მუშაობის გამოცოცხლებაზე.

„ლოკომოტივის“ ძირეულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ცუდად არის დაყენებული მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეც. საზოგადოების მასშტაბით მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა ჯერჯერობით შესრულებულია: I საფეხურის—83,6 პროცენტით, II საფეხურის—53,1 პროცენტით, ბმშთ—30 პროცენტით; თანრიგოსნების მომზადების—I თანრიგის 21,6 პროცენტით, II თანრიგის 61 პროცენტით და III თანრიგის 40 პროცენტით. საზოგადოებას წელს არც ერთი ოსტატი არ მოუმზადებია. „ლოკომოტივის“ ფიზკულტურელები და სპორტული კოლექტივები იშვიათად იღებენ მონაწილეობას საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში და თუ იღებენ, არასახარბიელო შედეგებს აღწევენ. ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ „ლოკომოტივმა“ გადაჭრით უნდა გარდაქმნას მუშაობა, საჭიროა მეტი მონდომება, ოპერატიულობა და პრაქტიკული დახმარება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ეს უნდა ახსოვდეს ფიზკულტურული დარგის ყველა მუშაკს.

ლ. ლუდუშაური,

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგე.

მოკლე ცნობები

რუსთავი. დამთავრდა მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა, რომელმაც მუშა ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. რამდენიმე დღის განმავლობაში აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთელები, მძლეოსნები, ძალოსნები, მოჭიდავეები.

მ. გიგაური

* * *

მახარაძე. ერთ კვირას გრძელდებოდა გათამაშება ფრენბურთში ქალაქის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებების, სკოლებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების 14 გუნდი. ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩაის ტექნიკუმის გუნდმა.

ჰ. ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიხილავთ წერილს „გავამახვილოთ ყურადღება სპორტსმენის აღზრდის საკითხებისადმი"

კოლექტივის ინტერესები—უპირველეს ყოვლისა!

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს ეხება ამხ. ლ. გიორგაძის წერილი—„გავამახვილოთ ყურადღება სპორტსმენის აღზრდის საკითხებისადმი", რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლელოს" 18 ნოემბრის ნომერში.

საბჭოთა ქვეყანაში სპორტი თვითმიზანი როდია. იგი ჯანსაღი, კულტურული საბჭოთა მოქალაქის აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. ამის გათვალისწინებით უნდა მუშაობდნენ როგორც მწვრთნელები, ისე სპორტსმენები. უდაოა, რომ ფიზკულტურელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში მწვრთნელს წამყვანი როლი ენიჭება, მაგრამ მის საქმიანობას მხოლოდ მაშინ ექნება წარმატება, როცა თვით სპორტსმენები მთელი გულისყურითა და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას, იქნებიან დისციპლინიანი და მწვრთნელთან ერთად მეგობრულად ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოლებენ გამარჯვების მოსაპოვებლად.

ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვან ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს: მიმდინარე წლის ოქტომბერში ლენინგრადში ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება სამბოში. მასში მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყველა პირობა შეგვიქმნა, რათა კოლექტივი კარგად მომზადებულიყო და სასახელოდ დაეცვა საქართველოს სპორტული პრესტიჟი.

სამწუხაროდ, გუნდის ზოგიერთმა წევრმა ვერ დააფასა ეს ყურადღება, რის გამოც მათ არასახარბიელო შედეგი ხვდათ წილად. მაგალითად, მძიმე წონის მოჭიდავე ლაფაური, მიუხედავად სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" ყოველდღიური დახმარებისა, სისტემატურად არღვევდა სპორტსმენისათვის დაწესებულ რეჟიმს, საწვრთნელ შეკრებას ზერელედ ეკიდა და ამიტომ წარმატებასაც ვერ მიაღწია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამბოში 1948 წლის საკავშირო ჩემპიონის, სპორტის ოსტატის გ. როსტიაშვილის მარცხი. მოიპოვა რა ჩემპიონის წოდება, იგი მთელი წლის განმავლობაში ნაკლებად ზრუნავდა სპორტული ფორმის შენარჩუნებისათვის, შეკრების დროსაც ერთგვარ ქედმაღლობას იჩენდა—სწამდა, რომ ყველაფერი იცოდა, არასერიოზულად ეკიდებოდა წვრთნას. შეჯიბრების პერიოდში ამხ. როსტიაშვილი დარწმუნდა, რომ იგი სუსტად იყო მომზადებული. სპორტსმენი შიშმა შეიპყრო, მან დაჰკარგა გამარჯვების რწმენა და ყოველ შეხვედრას მკრთალად ატარებდა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ამხ. გ. როსტიაშვილის სამარცხვინო ქცევას, რაც ყოვლად შეუფერებელია საბჭოთა სპორტსმენისათვის. ჩემპიონატის საფინალო შეხვედრის წინ, როდესაც საქართველოს გუნდი პირველობის უმთავრესი პრეტენდენტი იყო, გ. როსტიაშვილმა მალულად მიმართა შეჯიბრების მთავარ ექიმს, თითქოს მას ლავიწის მოტეხილობა ჰქონდა. როდესაც როსტიაშვილს სიმულაცია არ გაუვიდა, იგი თავის მეტოქეს თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა ხალიჩაზე. ამით მან თავის გუნდს პირველი ადგილისათვის საჭირო ქულები დაუკარგა.

საგულისხმოა ისიც, რომ დასკვნითი პარადის დროს გ. როსტიაშვილმა დემონსტრაციულად დასტოვა მისი რიგები.

აღნიშნული ფაქტები, როგორც იტყვიან, კომენტარებს არ საჭიროებენ. ისინი იმაზე მეტყველებენ, რომ ამხ. გ. როსტიაშვილმა სულმოკლეობა გამოიჩინა და ანგარიში არ გაუწია თავის გუნდს, რომლის წევრები ქარქუსაშვილი, ნინიაშვილი, პატარქალაშვილი, ბახტაძე და სხვები შეუპოვრად იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

რამდენი შემთხვევა ახსოვს საბჭოთა სპორტს, როდესაც თავისი კოლექტივის პრესტიჟის დასაცავად რინგზე ან ხალიჩაზე მართლაც და დაზიანებული სპორტსმენი გამოსულა.

სპორტსმენთა აღზრდის საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩემის აზრით, წარმატების მოპოვებისათვის საჭიროა არა მარტო მწვრთნელთა მონდომებული მუშაობა, არამედ აგრეთვე დამნაშავე სპორტსმენის დისციპლინარული დასჯა.

ი. თომაშვილი,
მწვრთნელი.

◆

მოსწავლეები ველოსტადიონზე

27 ნოემბერს თბილისის ველოსტადიონზე ჩატარდა მოსწავლეთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე.

ჭაბუკები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ველოსამჭიდში (200 მეტრზე სვლით, 500 მეტრზე სვლით და ადგილიდან). 200 მეტრი ყველაზე სწრაფად (14,2 წამი) დაფარა ვაჟთა მე-19 სკოლის მოსწავლემ ე. ჯიმშელეიშვილმა. გიტში 500 მეტრზე სვლით შეჯიბრების ყველა მონაწილემ გააუმჯობესა შარშანდელი რეკორდი ჭაბუკთათვის. აქ ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვაჟთა 25-ე სკოლის მოსწავლემ ვ. კოსორუკოვმა (37,2). გიტში 500 მეტრზე ადგილიდან გაიმარჯვა ჯიმშელეიშვილმა (40,3 წამი).

ქალიშვილთა შორის 200 მეტრზე სვლით ჩემპიონის წოდება მოიპოვა მე-14 სკოლის მოსწავლემ ვ. მამულაიშვილმა (18,4 წამი). სპრინტში ერთ კილომეტრზე ყველას აჯობა ვაჟთა მე-11 სკოლის მოსწავლემ რ. პატარაიამ.

4 კილომეტრზე გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვება დარჩა პირველ ნაკრებს (ჯიმშელეიშვილი, ქინქლაძე, პატარაია, ბატიევი), რომელმაც მანძილი დაფარა 5 წუთსა და 52,2 წამში.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჩემპიონის წითელი მაისურები, ფასიანი საჩუქრები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელები.

გ. ოქრომჭედლიშვილი

მოკლევადიანი სემინარი

ბათუმი. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტმა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეების მოსამზადებლად მოაწყო მოკლევადიანი სემინარი, რომელიც გაიარა ქალაქის 15 ძირეული კოლექტივის თავმჯდომარემ.

* * *

ბათუმის რაიონში დამთავრდა სასოფლო-მეურნეო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების ძირეული კოლექტივების საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები.

შ. ბაჯელიძე

★

თბილისელ ველოსიპედისტთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, აღინიშნა მთელი რიგი რესპუბლიკური რეკორდებით. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ამ ტურნირში ველოსიპედისტმა ქალმა ა. რუდენკომ („დინამო"), რომელმაც საქართველოს ორი ახალი რეკორდი დაამყარა — გიტში 1.000 მეტრზე სვლით (1.28,2) და გიტში 500 მეტრზე ადგილიდან (44,3). **სურათზე:** ა. რუდენკო.

ფოტო კ. უუფარაძისა

★



ამხანაგის დახმარება

სამთო ველომარულის — თბილისი—ძაუჯიყაუ—თბილისი — მესამე ტური ყველაზე მძიმე იყო. მარულის მონაწილეებს უნდა დაეძლიათ დიდი აღმართი, ისიც ქარის წინააღმდეგ. ძნელი, ამასთანავე ფერდობიდან ჩამონაყარი კენჭებით დაფარული გზა კიდევ უფრო აძნელებდა სვლას—ზედიზედ იხვრიტებოდა შინები. სწორედ აქ მარცხი მოუვიდა მარულის ლიდერს რიგელ ვ. ლასის.

ეტაპის დამთავრებას რამდენიმე კილომეტრი აკლდა, რომ ლასას კიდევ გაეხვრიტა შინი და იგი გაჩერდა. მეტი მარაგი მას არ ჰქონდა. ნუთუ უნდა შეწყვიტოს მარულა? მაგრამ, როგორც ნამდვილმა სპორტსმენმა, ლასიმ გადაწყვიტა ეტაპის დამთავრება—მანქანა მხარზე გაიდო და სირბილით განაგრძო გზა. მალე მას დაეწია ახალგაზრდა თბილისელი ვ. ძებნიაური. მან ეს შენიშნა და უყოყმანოდ მისცა ამხანაგს თავისი უკანასკნელი სათადარიგო შინი.

ჩვენი სპორტისათვის უცხოა გადაგვარების გზაზე მდგარი ბურჟუაზიული სპორტის ჩვევები, სადაც სპორტულ მეტოქეს ეკიდებიან, როგორც მტერს.

საბჭოთა სპორტსმენის მორალით არა თუ დასაშვებია ბრძოლის უსინდისო წარმოება, არამედ, პირიქით, იგი ავალებს ურთიერთდახმარების აღმოჩენას, ხსნას. მთელი ძალით ისწრაფოს გამარჯვებისაკენ, მაგრამ არასდროს არ დაივიწყოს ამხანაგი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მზად იყოს, რათა დაეხმაროს მეტოქეს, იხსნას იგი განსაცდელისაგან — ასეთია საბჭოთა სპორტის კანონები.

ჩვენს სპორტსმენებს მუდამ ახასიათებთ კოლექტივიზმი, მეგობრობა, მოწინააღმდეგისადმი ამხანაგური დამოკიდებულება. ძებნიაურიც ლასის სახით მოწინააღმდეგეს კი არ ხედავდა, რომელსაც გვერდი უნდა აუარო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, განსაცდელში ჩავარდნილ ამხანაგს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება.

ასეთი მაგალითებით მდიდარია საბჭოთა სპორტის ისტორია. ასეთ მაგალითებზე უნდა აღიზარდოს ჩვენი სპორტული ახალგაზრდობა.

(„სოვეტსკი სპორტ")

ლევან სანაძის სტარტი

ლევან სანაძე მოკლე მანძილებზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მორბენალთაგანია. მას ეკუთვნის საქართველოს სსრ რეკორდები 100, 200 და 400 მეტრზე რბენაში—10,5; 21,7; 50,6.

მოკლე მანძილებზე რბენის შედეგები განისაზღვრება წამის მეათეულებით, ამიტომ ამ შეჯიბრების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად ითვლება საწყისის (სტარტის) კარგად, ე. ი. სწრაფად აღება.

ლ. სანაძეს აქვს მოკლე მანძილებზე რბენის კარგი ტექნიკა და განსაკუთრებით კი სტარტი. აქ მოყვანილი კინოგრამა გადაღებულია 200 მეტრზე შეჯიბრების დროს 1949 წელს მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ქ. მოსკოვში.

პირველი კადრი. ხელები მოშორდნენ სარბენ ბილიკს, რასაც მოჰყვა ზეტანის ვარდნა წინ ფეხები ამ დროს ასრულებენ მძლავრი ზამბარების როლს და დახრილ ზეტანს წინ აგზავნიან. ამ კადრზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე ფეხის გამმართველი მუშაობა სტარტის პირველ ფაზაში.

მე-2 კადრი. დახრილი ზეტანი წინ მიისწრაფის. ხელები აკეთებენ ენერგიულ გაქნევს. ფეხები განაგრძობენ გამმართველ მოძრაობას. მიაქციეთ ყურადღება მარჯვენა ფეხის ტერფს, რომელიც ამთავრებს გამმართველ მოძრაობას კოჭის სახსარში.

მე-3 კადრი. წინ სწრაფვა ნათლად მოსჩანს მარცხენა ფეხის მთლიანი გამართვით მუხლის, კოჭის სახსარში და ზეტანის დიდი დახრილობით. ხელების გაქნევამ მიაღწია ზღვრულ მდგომარეობას. მუხლის სახსარში მოღუნული მარჯვენა ფეხი გაიტანება წინ ჩქარი გამართვისათვის მომზადებული ტერფით.

მე-4 და მე-5 კადრები. მარჯვენა ფეხის მიწაზე დადგმით დამთავრდა პირველი ნაბიჯი. აქ ნაჩვენებია მეორე ნაბიჯის საყრდენი ფაზა, რომლის დროსაც ზეტანი ასევე დახრილია, რაც წინ სწრაფვას აადვილებს. ხელები ძლიერ მოღუნული იდაყვის სახსარში აკეთებენ ენერგიულ მოძრაობას. მე-5 კადრზე აღსანიშნავია თეძოების მძლავრი და ენერგიული მუშაობა.

მე-6 კადრი. მეორე ნაბიჯის ფრენის ფაზა. მარჯვენა ფეხმა მთლიანი გამართვის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუხლის გატანა წინ. მარცხენა ფეხი ემზადება სარბენ ბილიკზე დასადგმელად.

მე-7 კადრი. დაიწყო მესამე ნაბიჯი. მოჩანს კარგი წონასწორობა—წინ სწრაფვა. მიაქციეთ ყურადღება მარცხენა ფეხის ზამბარისებურ მუშაობას და მარჯვენა მუხლის სწრაფ გატანას წინ.

მე-8 კადრი. შეადარეთ იგი მე-3 კადრს. ზეტანის დახრა რამდენიმედ შემცირდა და კუთხე, რომელსაც ქმნიან თეძოები, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მარჯვენა ფეხის წვივიც საგრძნობლად გატანილია წინ. ხელებმა დაიკავეს ზღვრული მდგომარეობა და უფრო მოკლე რკალით შეასრულეს მოძრაობა.

მე-9 და მე-10 კადრები. უჩვენებენ მეოთხე ნაბიჯის საყრდენ ფაზას. წინა კადრებთან შედარებით ზეტანს თანდათანობითი გამართვა ემჩნევა სტარტიდან დისტანციაზე რბენაში გადასვლასთან ერთად. სტარტიდან რბენისას ხელების ენერგიულ მუშაობას თან ერთვის მხრების მოძრაობა, ამიტომ მე-5 და მე-10 კადრებზე მოჩანს მორბენლის გულმკერდი, ხოლო მე-3 და მე-8 კადრებზე კი მისი ზურგი.

გ. დიაჩკოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

კინოგრამა ლ. დორენსკისა

◆

ჩვენ გვწერენ

უპასუხისმგებლობის შედეგად

თბილისის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი წელს პირველად იმუშავებს ზამთრის პერიოდში. დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით პარკის დირექციას გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს მრავალი ღონისძიება, მათ შორის სპორტულიც.

ამ რამდენიმე დღის წინათ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში და მოედნებზე გაკრული იქნა დიდი აფიშები, რომლებიც იუწყებიან ზამთრის პირველი სეზონის გახსნას. მაგრამ პარკის დირექციას არ უზრუნია იმისათვის, რომ განცხადება გამართული ქართული ენით შეედგინა. ასე, მაგალითად, ჩამოთვლილ ღონისძიებათა მეოთხე მუხლში ვკითხულობთ, რომ ჩატარდება „შახმატის ერთდროული სეანსები...", მეექვსე მუხლში ნათქვამია, რომ ჩატარდება „შეჯიბრებები თხილამურში, „კანკებზე" და სხვ. ფიზკულტურულ სახეობებში". აფიშა გვაუწყებს, იმასაც, რომ „დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდე პარკში მუშაობს „საშაშო"-საშახმატო ოთახი" და სხვ.

ვეკითხებით ამ განცხადების ავტორებს, ნუთუ მათ არ იციან, რომ „შახმატს" ქართულად ეწოდება ჭადრაკი, ხოლო „კანკებს" — ციგურები.

აფიშას აქვს სარეკლამო ბიუროს ბეჭედი. როგორც ჩანს, ამ ორგანიზაციის მუშაკებიც მწყრალად ყოფილან ქართულ ენასთან.

ა. ბარნოვი,
ი. მღებრიშვილი.

ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ჩემპიონატი

„დინამოს" საჩოგბურთო სტადიონზე ორ კვირას მიმდინარეობდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა შეჯიბრება თბილისის პირველობაზე.

ნიჭიერმა ჩოგბურთელმა ვ. ურაევსკიმ, რომელმაც მიმდინარე სეზონში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია, ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა გ. კოკაია (6:0, 6:2, 6:2) და მოიპოვა ჩემპიონის წოდება მამაკაცთა შორის. ქალთა შორის პირველი იყო ლ. ბარაპეტოვა. მანვე გ. კოკაიასთან ერთად მოიგო პირველობა შერეულ წყვილთა შორის. მამაკაცთა წყვილებს შორის ურაევსკიმ და კოკაიამ ადვილად დაამარცხეს ბივაზოვი და ღარიბაშვილი.

მეგობრებს ჩემს შესახებ

★

ემილ ზატოპეკი

★

...როცა ჩემს წარსულს, ბავშვობას მოვიგონებ, თვალწინ ნათლად წარმომიდგება მშობლიური ქალაქი კოპრივნიცე და გამხდარი, ტანმორჩილი ბიჭი, რომელიც ზაფხულობით დაუღალავად თამაშობდა ფეხბურთს, ხოლო ზამთარში თავგამოდებით დასრიალებდა თხილამურებით. გადიან წლები, პატარა, თითქმის იგივე ტანმორჩილი ჭაბუკი ცხოვრობს ქალაქ ზლინში და სწავლობს „ბატიას" ფეხსაცმლის ფაბრიკასთან არსებული ქიმიური მრეწველობის სკოლაში.

გადიან დღეები. ერთხელ ინტერნატის დერეფანში სირბილის დროს შევხვდი ჩემი სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელს ლინგარტს.

— სდექ! — მეუბნება იგი, — ხვალ ირბენთ!

— სად? რისთვის?

— თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ტრადიციულ რბენაში, — მომმართავს ისეთი დაბეჯითებული ტონით, რომ უარის თქმა შეუძლებელია და თან დასძენს:

— რბენაში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ჩვენთან, ზლინში.

— მე ხომ არასდროს არ მირბენია და მონაწილეობაც არ მიმიღია შეჯიბრებებში...

— ყველაფერს თავისი დასაბამი აქვს, — ფილოსოფიურად ასკვნის ლინგარტი და მშორდება.

და აი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვარ სტარტზე. ათასობით თვალი უცქერის მორბენალთა ჯგუფს, და ასე მგონია, ყველა მხოლოდ მე მიყურებს, მხოლოდ მე, მე კი ისეთი პატარა ვარ, გამხდარი, რომ, ალბათ, ყველას ვეცოდები და არავის სჯერა, რომ სირბილი შემიძლია. ახლა არც მე მჯერა ეს... მაგრამ უნდა ვირბინო და ამ ადამიანების თვალში არ უნდა გამოვჩნდე ყველაზე სუსტი; მეც გავრბივარ, გავრბივარ რაც ძალი და ღონე მაქვს, თავგამეტებით ვამოძრავებ ფეხებსა და ხელებს, ოღონდ უკანასკნელი არ დავრჩე! მაგრამ წინ მომელის ყველაზე არაჩვეულებრივი, ყველაზე მოულოდნელი რამ. ვინ იფიქრებდა, რომ ფინიშთან მეორე მივიდოდი ჩემს პირველ გარბენაში!?

სტადიონზე, ემილ!

შეჯიბრების დასასრულს გარს შემომერტყნენ ამხანაგები, მოდის ინტერნატის კიდევ ერთი ხელმძღვანელი დოქტორი კუჩერა. ლინგარტთან შედარებით მან უკეთესად იცის სპორტი.

— ვიაროთ სტადიონზე, ემილ! — აღტაცებით მომმართავს იგი გაღიმებული და თან მხარზე ხელს მირტყამს.

— ვიაროთ, — ძლივს ვპასუხობ ქოშინით დაღლილობისა და მღელვარების გამო. რაოდენი შთაბეჭდილება მივიღე ერთ დღეში: პირველი რბენა, პირველი წარმატება, და ბოლოს პირველი მწვრთნელი. ყოველივე ამისგან ხომ შეიძლება თავბრუ დაგეხვეს!

რამდენიმე დღის შემდეგ მივდივარ სტადიონზე. დოქტორი კუჩერა მაცნობს რბენის ძირითად წესებს, მასწავლის ვარჯიშის წინ გახურებას და მწვრთვნის ტანვარჯიშში. მაგრამ სტადიონზე ეს ხუთი-ექვსი გავარჯიშება როდი გახდა სერიოზული წვრთნის დასაწყისი. ერთადერთი მანძილი, რომელიც ვივარაუდეთ წამზომით — 1.500 მეტრი — მაშინ დავფარე 4.20,0 წუთში, მაგრამ ეს ექსკურსიები სარბენ ბილიკზე იყო პირველი ნაბიჯები სპორტში. რაკი ერთხელ შევდგი სტადიონის ზღურბლზე ფეხი, ამის შემდეგ უკვე აღარ შემეძლო სპორტისათვის თავის დანებება.

ხალუზა ილიმება

1942 წელს მღებულობენ „ბატიას" სპორტულ კლუბში. იმ დროს ბურჟუაზიულ კლუბში მოხვედრა ადვილი საქმე როდი იყო. ან მდიდრის შვილი უნდა ყოფილიყავი, ან ნიჭიერი სპორტსმენი. მე უბრალო დურგლის შვილი ვიყავი, მაგრამ როგორც მორბენალი, იმედებს ვიძლეოდი და ამან გადასწყვიტა ჩემი ბედი. კლუბში ჩემთან მეცადინეობა დაიწყო ძლიერმა და მრავალმხრივ განვითარებულმა მძლეოსანმა, მწვრთნელმა ხალუზამ. იგი მიყურებდა, როგორც საშუალო მანძილებზე რბენისათვის შესაფერისს და მწვრთვნიდა 800, 1.000 და 1.500 მეტრზე, თუმცა იშვიათად მავარჯიშებდა 3.000 და 5.000 მეტრ მანძილზე. თვლიდა რა, რომ ჩემი ძირითადი „სპეციალობა" 1.500 მეტრზე რბენაა, იგი სისტემატურად მავარჯიშებდა ამ მანძილზე. ვმეცადინეობდი კვირაში სამჯერ. საშუალო ტემპით გავრბოდი ოთხხუთ, ზოგჯერ ექვს წრეს 450 მეტრიან ბილიკზე, 15-20 წუთის განმავლობაში ვეწეოდი სპეციალურ მძლეოსნურ ტანვარჯიშს და 5-წუთიან დასვენების შემდეგ გავრბოდი ოთხხუთ „როვინკას". როვინკას ჩვენში უწოდებენ ისეთ მძლეოსნურ ვარჯიშს, როცა სპორტსმენი ძლიერ სწრაფად გაირბენს 100 მეტრს, ხოლო წრის დანარჩენ ნაწილს გარბის „კლიუსით", ე. ი. თავისუფლად და მშვიდად. მე რამდენიმედ გავართულე ეს ვარჯიში, ორივე 100 მეტრს სწრაფად გავრბოდი, მოსახვევებს კი უფრო ნელა და მშვიდად ვფარავდი. მეორე დღეს 5-წუთიანი შესვენებით როვინკების ნაცვლად ორ-სამჯერ ძლიერი ტემპით გავრბოდი 300 მეტრს. ზოგჯერ როვინკებისა და 300 მეტრიანების ნაცვლად მთელი ძალით გავრბოდი 600 ან 800 მეტრს. მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ ჩემი „მთელი ძალა" 800 მეტრზე მაშინ განიზომებოდა მეტად სუსტი შედეგით—2.06,0. ხალუზა გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს ჩემს წარმატებებს, მაგრამ დროს არ აცხადებდა. იგი მხოლოდ გაიღიმებდა ხოლმე, როცა წამზომს დახედავდა და დღითი დღე კარგ გუნებაზე დგებოდა. ბოლოს მომბეზრდა ეს საიდუმლოება და ვკითხე მას:

— რატომ დროს შესახებ არაფერს ლაპარაკობთ? რატომ მხოლოდ იღიმებით?

— მე იმიტომ ვიღიმები, რომ სულ მალე თქვენ აატირებთ ზლინის ყველა მორბენალს, მათ შორის მეც,—დაუმატა მან უკვე ღიმილის გარეშე.

შემდეგ გაბედულად შემხედა თვალებში და მითხრა:

— იცით, ემილ, ნახევარი წლის შემდეგ მე ვერ შევძლებ თქვენს წვრთნას. მე ახლაც ვერაფერს გასწავლით თქვენ. უკვე დროა პრაღაში გაემგზავროთ!

ზატოპეკი წვრთნის ზატოპეკს

ხალუზა მართალი გამოდგა. 1943 წელს ჩემი შედეგების მიხედვით მასწავლებელს უკვე გავუსწარი. მას შემდეგ ზატოპეკმა დაიწყო ზატოპეკის წვრთნა. ერთ სახეში ვცდილობდი გამეერთიანებინა დაჟინებული, მომთხოვნელი მწვრთნელი და გულმოდგინე გამგონე მოწაფე. როგორც ჩანს, ეს შევძელი.

როცა წვრთნის პროგრამა გადავათვალიერე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ შემიძლია და უნდა ვივარჯიშო ყოველდღე. ნახევარი წლის წინათ ჩემი ორგანიზმი ვერ აიტანდა ასეთ დატვირთვას, მაგრამ ახლა კიდეც საჭიროებდა ამას. ამ ყოველდღიურმა წვრთნამ ერთ წელიწადში უკვე დადებითი შედეგები მომცა. შედეგს 1.500 მეტრზე ჩამოვაკელი 11 წამი, 3.000-ს—16,7, ხოლო 5.000 მეტრს კი თითქმის ერთი წუთი.

არა უშავს!

თუ ეს წელიწადი გარდამტეხი იყო წვრთნაში, შემდეგი კი გახდა მისი ახალი მეთოდების განმამტკიცებელი. სწორი და გააზრებული მეცადინეობის შემდეგ ჩემი წვრთნის სიმძიმის ცენტრი გადავიტანე გრძელ მანძილზე, ამით შევძელი 3.000 და 5.000 მეტრზე დამემყარებინა ჩეხოსლოვაკიის რეკორდები.

ჩემი მეცადინეობის პროგრამა მაშინ ასეთი იყო: სამი წრე საშუალო ტემპით და სამი როვინკა—ეს როგორც გახურების საშუალება, შემდეგ კი ან 10 როვინკა, ან 10-ჯერ 200 მეტრი, ან 6-ჯერ 400 მეტრი, ამასთანავე თვითეულ სასპრინტერო მანძილს შორის იყო მშვიდი, თავისუფალი რბენის ასეთივე უბანი. 1945 წელს ვვარჯიშობდი იგივე პროგრამით, მხოლოდ უფრო ხშირად დავრბოდი 3.000 და 5.000 მეტრზე. შეჯიბრებამდე ორი კვირით ადრე ასეთი წესით ვვარჯიშობ: პირველ წვრთნას ვატარებ ნორმალური საწვრთნელი დატვირთვის ორმაგი დოზით, მეორეს კი—მხოლოდ ნახევარი დატვირთვით. ასეთი წვრთნის შედეგად 1946 წელს, ისევე, როგორც წინა სეზონში, დავამყარე ჩეხოსლოვაკიის ორი ახალი რეკორდი!

ძალიან კარგია! ამან მეტად აღმაფრთოვანა!

რა იწვევს გამარჯვებას

1947 წლიდან ვვარჯიშობ ზამთარშიც და ზაფხულშიც, მხოლოდ რამდენიმედ შეცვლილი პროგრამით. ახლა თვითეული მეცადინეობის ძირითადი ნაწილი შემდეგი ნორმებისაგან შედგება: 5-ჯერ 200 მეტრი+20-ჯერ 400 მეტრი+5-ჯერ 200 მეტრი, თვითეულ სასპრინტერო მონაკვეთს შორის გავრბივარ 200 მეტრს კლიუსით. ზაფხულში ვვარჯიშობ სტადიონზე, ზამთარში — გზატკეცილზე ან სასოფლო გზაზე. ზოგჯერ თხილამურებით დავდივარ. საზამთრო მეცადინეობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ—იგი ზაფხულის წარმატებათა საფუძველია. ზამთარში უფრო რეგულარულად ვვარჯიშობ, ვიდრე ზაფხულში იმიტომ, რომ შეჯიბრებები მაშინ არ სწარმოებს და გრაფიკიც არაფრით არ ირღვევა. ზაფხულში კი ყოველი შეჯიბრების წინ გვიხდებოდა ორი დღით დასვენება, ხოლო როცა ბევრი შეჯიბრება ტარდება, მაშინ ვვარჯიშობ ნახევარი დატვირთვით. ზემოთქმულის განზოგადების შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩემი საწვრთნელი ვარჯიშების პროგრამა და დატვირთვა ყოველ წელიწადს იცვლებოდა, უცვლელი რჩებოდა მხოლოდ წლიური და ყოველდღიური მეცადინეობანი, ე. ი. ის, რაც, ჩემის აზრით, ხელს უწყობს გამარჯვებას. ეს მოსაზრება მართლდება იმით, რომ 1947 წელი ჩემთვის ყველაზე წარმატებითი წელი იყო.

პარიზში სტუდენტთა მსოფლიო სპარტაკიადაზე გავიმარჯვე 1.500 მეტრზე რბენაში და ვუჩვენე დრო 3.52,8; აგრეთვე 3.000 და 5.000 მეტრზე დავამყარე ორი ახალი ნაციონალური რეკორდი. 1947 წელს შევუდექი თანდათან მზადებას 10.000 მეტრზე გარბენისათვის. 1948 წლიდან 1.500 მეტრს დავრბოდი მხოლოდ ამანათრბენებში, ამასთანავე გულმოდგინედ ვვარჯიშობდი 3.000, 5.000 და 10.000 მეტრზე.

ასეთი გარდაქმნის შედეგად 1948 წელს შევძელი დამემყარებინა ჩემი სამშობლოს ახალი რეკორდები 3.000 და 10.000 მეტრზე, ამასთანავე გავმხდარიყავი ოლიმპიური ჩემპიონი რბენაში 10.000 მეტრზე, 1949 წლის ივნისში ქალაქ ოსტრავაში (მორავსკაია) დავამყარე მსოფლიო რეკორდი 10.000 მეტრზე, რომელიც დავფარე 29.28,2.

კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი გადავიდა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბანაკში.

(დასასრული იქნება)

პირველი შეჯიბრება, ახალი რეკორდები



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სამხედრო გზის 35-ე კილომეტრზე, ნატახტარის მახლობლად, პირველად ჩატარდა ავტოშეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში. მასში მონაწილეობდნენ თბილისის ავტო-მოტოკლუბის წევრები, რომლებიც გამოვიდნენ მშობლიური მარკების ავტომანქანებით („პობედა", „მოსკვიჩი"). პროგრამაში იყო მარულა 1 კილომეტრზე ადგილიდან და სვლით.

მარულა „პობედით" 1 კილომეტრზე სვლით მოიგო ე. მოშიაშვილმა, რომელმაც უჩვენა დრო 33,5 წამი, ე. ი. საათში საშუალოდ 108,925 კილომეტრი განავითარა. ამ დისტანციაზე სვლით მოშიაშვილმა ინჟინერ მ. მუსხელთან ერთად გაიყო პირველი ადგილი (48 წამი).

„მოსკვიჩების" მძღოლებიდან საუკეთესო დრო უჩვენა მ. იარაელიანმა, რომელმაც 1 კილომეტრი სვლით დაფარა 41,8 წამში და 1 კილომეტრი ადგილიდან—55,9 წამში.

შემდეგ ერთმანეთს შეეჯიბრნენ მოტოციკლისტები. სპორტის ოსტატმა კ. ბერუჩაშვილმა „მ-75" მარკის მოტოციკლით განაახლა რესპუბლიკის რეკორდი 1 კილომეტრზე ადგილიდან 33,1 წამი (109,057 კილომეტრსაათი). დიდი წარმატება მოიპოვა კ. ცალქალამანიძემ, რომელმაც რეკორდები ამ მანძილზე გააუმჯობესა 125 კუბ. სანტიმეტრი მოცულობის მანქანით („კ-125"). 1 კილომეტრზე სვლით მან უჩვენა დრო 38,3 წამი, ხოლო ადგილიდან—45,4 წამი.

სურათებზე: (ზევით) მოტოშეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი. წრეში — სპორტის ოსტატი კ. ბერუჩაშვილი. (ქვევით) „პობედა" დისტანციაზე. წრეში — ე. მოშიაშვილი. ფოტო კ. ცირქელაშვილისა.

სპორტული ქრონიკა

⊙ **ჩელიაბინსკში** დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება სიმძიმეების აწევაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე შტანგისტმა, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენები. პირველ ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს ძალოსნები.

⊙ **ლენინგრადში** გათამაშდა პროფესიულ კავშირთა X პირველობა სიმძიმეების აწევაში, რომელშიც მონაწილეობდა 130 ძალოსანი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ნოვაკმა (ქვემძიმე წონა). მან კლასიკურ სამჭიდში მოაგროვა 405 კილოგრამი. შეჯიბრებაზე ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა ახალგაზრდა ნიჭიერმა შტანგისტმა, სპორტის ოსტატმა ი. დუგანოვმა (ატაცში — ორი ხელით 125 კგ., მარჯვენა ხელით — 90 კგ.).

ბილიარდის მაგიდასთან

ხუთ დღეს მიმდინარეობდა თბილისში მოსკოვის „სპარტაკის" და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრები გუნდის შეხვედრა ბილიარდში. სტუმრების კოლექტივში იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ა. მილიაევი, უძლიერესი მოთამაშე ნ. ბერეზინი, ა. იონოვი და სხვ.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 32:16.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის 18 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ წერილში „გავუსწორდეთ მოწინავეებს" მესამე სვეტის უკანასკნელი აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „ახმეტის რაიონში, სადაც მშთ I საფეხურის 170, მშთ II საფეხურის 2 და იმშთ 150 ნიშნოსანი უნდა მომზადებულიყო, დღეისათვის I საფეხურზე მხოლოდ 111 და იმშთ 98 ნიშნოსანია მომზადებული"... და შემდეგ როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

მიიღება ხელისმოწერა გაზეთ
„ლელოზე"
1950 წლისათვის
გაზეთი „ლელო" ღირს
1 თვით—1 მან. და 30 კაპ.
3 თვით—3 მან. და 90 კაპ.
6 თვით—7 მან. და 80 კაპ.
1 წლით—15 მან. და 60 კაპ.
ხელისმოწერა მიმდინარეობს „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებასა და სააგენტოში.
„საქსოიუზპეჩატი"

გაზეთი გამოდის პარასკეობით
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.
ლ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტირაჟი 15.000
უე 06516